საქ. ტთ მუშურ. სოც.-დემ. პარტ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. წინ
4 „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 415 კვირა, თებერვლის 11 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

მწუხარებაში მყოფნი: დედა ანასტასია, დები ნინა და ოლღა, ძმა ივანე სინაურიძეები, სიძე სანდალა და დისწული გულსუნდა გაჩეჩილაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 თებერვალს, წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერა) დანიშნულია ძვირფას და დაუვიწყარ

ნაფარუას

ორმოცი დღის პანაშვიდი. დასაწყისი დღის პირველ საათზე.

1—1 391

# მოწოდება.

## საბჭოთა საქართველოს მუშებო, გლეხებო და მუშა ქალებო.

1914—1918 წლების პირველი ველური იმპერიალისტური ომის გამჩაღებლები—ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტები კვლავ ამზადებენ ხალხთა სასაკლაოს,—მუშების და გლეხების სისხლის ღვრას თავიანთი მტაცებლური კაპიტალისათვის.

ინგლისს სურს გასთელოს ახალი ოსმალეთი, საბოლოოდ ხელთ იგდოს მცირე-აზიის სიმდიდრე, როგორიც არის, მაგალითად, მოსულის ნავთი, დარდანელის სრუტეები სტამბოლით, რათა შავი ზღვა აქციოს თავის ტბათ და მუდმივი საფრთხის წინაშე დააყენოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი და მათ რიცხვში საბჭოთა საქართველო.

პარიზის მევახშე—ბანკირებმა, საფრანგეთის მტაცებლებმა, უგუნურ სისხლის მსმელ პუანკარეს მეთაურობით, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მოურიგდენ თავიანთ ინგლისელ თანამოძმეებს,—რამოდენიმე ასეულ-ათას შეიარაღებულ ჯარის-კაცებით. მათ რიცხვში ფაფრიკის შავკანიანებით, რომლებიც ჯერ კიდევ მონებათ ჰყავთ,—დაიკავეს გერმანიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამრეწველო ნაწილი, ურომლისოდაც უკანასკნელს ცხოვრება და არსებობა არ შეუძლია...

რურის მუშები განიცდიან ოკუპაციის მთელს სიმწვავეს. რაც თქვენც წილად გხვდათ, საქართველოს მუშებო და გლეხებო, 1918—1919 წლებში საქართველოს ოკუპაციის დროს ხან გერმანიის და ხან ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ, — რომლებსაც მჭიდრო კავშირი და თანხმობა ჰქონდათ სოციალ-გამცემლებთან—საქართველოს მენშევიკებთან...

დაკავებულ ოლქში სულის შემხუთველი მდგომარეობაა... სიმშილი, საფრანგეთის მილიტარისტების თარეში, რურის ოლქის მუშების და გლეხების ხვრეტა...

გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ ოკუპაციამდე გათვალისწინებული ჰქონდათ მისი შესაძლებლობა, კომინტერნის დირექტივებით, მოაწყვეს გაერთიანებული ყრილობა ესსენში და გადასწყვიტეს— ყოველივე ძალ-ღონით შებრძოლებოდენ ოკუპაციას... კომინტერნი და პროფინტერნი მოუწოდებდენ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ყვითელ მენშევიკებს გაერთიანებული ფრონტით მუშათა კლასის ელემენტარულ უფლების დაცვისაკენ...

ეს არამზადები კი აქამდე ბურჟუაზიას მისდევენ უკან და მხოლოდ რეზოლიუციების ფრაზებით და ქაღალდის პროტესტებით თვალს უხვევენ მუშათა მასსებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩამოსცილებიან მათ, მაგრამ უკანასკნელთ თანდათან შეიარაღებული კაპიტალის გრდემლი აფხიზლებს და ისინი, ზურგს აქცევენ—რა თავის ძველ მოღალატე ბელადებს, დღითი-დღე ჰქმნიან ერთიან ფრონტს, როგორც ამას მათ ურჩევს მსოფლიო რევოლიუციის დიადი შტაბი—კომინტერნი...

სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს მუშების, მუშა-ქალების და გლეხთა მასსების სახელით, აწ უკვე გაერთიანებულების ამიერ-კავკასიის ფედერატიულ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც უკრაინის და ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების დიადი კავშირის ნაწილია **რ. ხ. ფ. ხ. რ. მეთაურობით, მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოხთქვამს თავის აღშფოთებას** საფრანგეთის კაპიტალის მტაცებლობის წინააღმდეგ და მხურვალე ძმურ თანაგრძნობას და სოლიდარობას რურის მებრძოლთადმი, საფრანგეთის და გერმანიის მებრძოლ მუშებსა და გლეხებისადმი, და მოუწოდებს საქართველოს **ს. ხ. რ.** ყველა პატიოსან მცხოვრებს რესპუბლიკის ყველა კუთხეში, ქალაქებშიც და სოფლებშიაც შეუერთდნენ ამ მოწოდებას... იყვნენ მზად და სადარაჯოზე, ჩვენი სახელოვანი საერთაშორისო წითელი ჯარის დახმარებით, ჯარის, რომელსაც შევადგენთ ჩვენ თვითონ—ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები,—შეიარაღებულნი გამოცხადნენ საჭირო ჟამს ჩვენი დაძახებისა, კომპარტიის და კომინტერნის პირველ დაძახებისათანავე. დასახმარებლად რურის, საერთოდ საფრანგეთის, გერმანიის და მთელი ევროპის მუშებისა, რომელნიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კაპიტალიზმის და საერთაშორისო იმპერიალიზმის ველურ ბრჭყალებში.

ძირს კაპიტალიზმ-იმპერიალიზმი.

გაუმარჯოს **კომუნიზმს**.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მთელ ქვეყნის საბჭოებს.

გაუმარჯოს რურის მებრძოლ მუშებს და მთელ მებრძოლ საფრანგეთ-გერმანიის პროლეტარიატს კომინტერნის მეთაურობით.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის დიად შტაბს—მესამე **ინტერნაციონალს**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხაბაშვილი**.

1923 წ. თებერვლის 8.

ქ. ტფილისი.

# თანამედროვე მდგომარეობა და რეფორმისტები

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა დიდად წააგავს 1914 წლის საერთაშორისო ომის წინა დროის მდგომარეობას. დღეს ჰაერში ომის სუნი ტრიალებს და მსოფლიო ახალი კატასტროფის წინაშე სდგას. მართალია, საერთაშორისო ომი ფორმალურად გათავდა და გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მთელს რიგ კონფერენციებზე საზავო პირობები შეიმუშავეს და ომის ლიკვიდაციას შეუდგნენ. ფაქტიურად, საერთაშორისო ომი მთელს რიგ მნიშვნელოვან ცენტრებში პერმანენტულად გრძელდება და თვით ვერსალში შემუშავებული მეთოდები უძლური გამოდგა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. მოკავშირეებმა მოწინააღმდეგეები დაამარცხეს ომის ველზე, მაგრამ ზავი და მშვიდობიანობა ვერ მოიპოვეს. ომმა ძირითადი წინააღმდეგობა დაბადა თვით მოკავშირეთა შორის, რომელთა დაძლევა მათთვის შეუძლებელი შეიქმნა.

საერთაშორისო ომმა საგრძნობლად გარდაქმნა მსოფლიო რუკა და დაარღვია ძველი სწორსწორობა; შექმნა ახალი სწონასწორობისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება ვერ მოხერხდა ძველი იმპერიალისტური მეთოდებით. ამ 4—5 წლის ისტორიამ ნათლად დაამტკიცა ეს, გაცხარებული და შეუჩერებელი მუშაობანი სწარმოებენ სხვა და სხვა კონფერენციებზე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ გარკვეული და შეთანხმებული ხაზის გამონახვა და ერთი მთლიანი პოლიტიკის შემუშავება დღემდე ვერ მოუხერხებიათ.

თანამედროვე მსოფლიოში დღეს აჩქარებული ტემპით სწარმოებს კაპიტალისტურ ძალების ახალი პოლიტიკური გადაჯგუფება, დიდ-ტანიან სახელმწიფოთა ინტერესები ახალი კოალიციებისა და ახალი ძალთა დაპირისპირების წინაშე გვაყენებს, ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობა მსოფლიო ჰეგემონიისათვის საერთაშორისო მასშტაბში, ამერიკა-იაპონიის დაპირისპირებაში შორეულ აღმოსავლეთში, საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგობა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში, რის გარშემო თავს იყრის აგრეთვე, სხვა სახელმწიფოთა ინტერესებიც,—ყველა ეს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრეს პრობლემებს წარმოადგენენ, რომელნიც ახალი კონფლიქტებით და ომებით ემუქრება მთელს მსოფლიოს.

მაგრამ ამ მომენტებს უნდა დაერთოს დამარცხებულ სახელმწიფოთა მისწრაფებანი და ემზადება რევანშისათვის. ვერსალისა და სევრის ხელშეკრულებებმა სასიკვდილო განაჩენები გამოუტანა აქ ქვეყნებს და საწველ ფურად გადააქცია ისინი გამარჯვებულ სახელმწიფოებისათვის. ასეთს პირობებში, ცხადია, თავის თავად იბადება სურვილი მონურ მდგომარეობიდან თავის დაღწევისა იარაღით ხელში, რადგან მშვიდობიანური გზით კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში ეს შეუძლებელი არის. ოსმალეთმა უკვე გამოიყენა ეს იარაღი თავისი უფლებების დასაცავად და დღესაც მზად არის მახვილით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები. გერმანიის გარშემო შექმნილი გარემოებანი და რურის ამბები მეტად საეჭვოს ხდის, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდი ხნით იყოს შესაძლებელი და 65 მილიონიანი კულტურული ხალხი დასთანხმდეს გამუდმებით მონობაში ყოფნას. საფრანგეთის იმპერიალისტებს ეს კარგად ესმის და ამიტომ მთელი მათი პოლიტიკა მიმართული არის გერმანიის საბოლოო განადგურებისა და მისი მთლიანობის დაშლისაკენ. ამ მიზნით საფრანგეთმა დაიჭირა რურის ოლქი და ხელს უწყობს გერმანიის მრეწველობის დაშლას. მეორეს მხრით, იგი აიარაღებს პოლონეთსა და დამხმარე მცირე ანტანტის სხვა წევრების დაარსებით სურს გ'აღუვალი ზღუდე აავოს გერმანეთსა და საბჭ. რუსეთს შორის.

ამ გვარად ევროპის დიპლომატიამ ვერსად მშვიდობიანობა ვერ აღადგინა და კაცობრიობა კვლავ ქაოტიურს მდგომარეობაში იმყოფება. როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე ევროპის ცენტრში ისეთს ამბებს აქვს ადგილი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო ომი. დღეს თუ არა ხვალ ეს მოსალოდნელია, რადგან იმპერიალისტური ზავი უმთავრესი წყარო არის ახალი ომებისა და კონფლიქტების.

ერთად-ერთი რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს საერთაშორისო ომს არის პროლეტარიატი და მისი სხვა და სხვა გვარი რევოლიუციონერი ორგანიზაციები. უნდა ვსთქვათ, რომ პროლეტარული მასების უმრავლესობა რეფორმისტული ინტერნაციონალებსაც უჭერენ მხარს ევროპაში და ამიტომ საინტერესო არის მათი პოლიტიკის გამოკვლევა თანამედროვე პირობებში.

სანამ რურის ოლქის ოკუპაცია დაიწყებოდა, ჰააგაში მოხდა სამშვიდობო კონფერენცია რეფორმისტებისა და ბურჟუაზიული პაციფისტების, რომლებმაც გამოიტანეს დადგენილება ომის წინაალდეგ ენერგიული კომპანიის წარმოების შესახებ. არსებითად ეს მხოლოდ სიტყვიერი განცხადება გამოდგა და რეფორმისტული ორგანიზაციები უძლური არიან რაიმე რეალური წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტების პოლიტიკას. 1914 წლის ომამდე მეორე ინტერნაციონალის ბელადები სიტყვის კორიანტელს აშენებდენ იმპერიალისტების გასანადგურებლად, მაგრამ როდესაც ომი დაიწყო ყველა ისინი თავიანთ მთავრობებს ამოუდგენ გვერდში და იარაღით ხელში ელზას-ლორენის და უღელტეხილებსა და ლიეჟის მიდამოებში სამარცხვინო ომს აწარმოებენ არა მარტო საფრანგეთის იმპერიალისტების, არამედ პროლეტარიატის წინააღმდეგაც. მეორე ინტერნაციონალი სამარცხვინოდ მოკვდა ომის დაწყებისას და ცნობილმა კაუცკიმ ეს სიკვდილი ბუნებრივ მოვლენად ჩასთვალა, რადგან მისი აზრით, ინტერნაციონალი მხოლოდ მშვიდობიანობის ინსტრუმენტი არისო.

მისი დათავებისას მათმა ბელადებმა ხელი მოაწერეს ვერსალის საზავო ხელშეკრულებას და შეიძლება ითქვას, მეორე ინტერნაციონალის დიდი უმეტესობა ვერსალის საზავო პირობებზე სდგას. ამით მეორე ინტერნაციონალმა დიდი ხანია ქედი მოხარა იმპერიალისტების წინაშე და მას აღარ ძალუძს ამ პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა.

როგორც აღვნიშნეთ, ბრძოლა იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ შესაძლებელი არის მხოლოდ ფართო სოციალისტური პროგრამით. სანამ არსებობს კაპიტალიზმი—მშვიდობიანობის აღდგენა და ომების მოსპობა შეუძლებელი არის. პრინციპიალურად მთელი მეორე ინ—ლი თავისი პროგრამით დღეს კაპიტალისტური მეურნეობის ნიადაგზე სდგას და ენერგიულად იცავს მას რევოლიუციონური მოძრაობისაგან. თავისთავად ცხადია ასეთს პირობებში შეუძლებელია მათთვის რაიმე აქტიური მოქმედების დაწყება იმპერიალისტურის პოლიტიკის წინააღმდეგ, ამიტომ მათი ყოველგვარი სიტყვიერი განცხადებას არავითარი რეალური ღირებულება არ აქვს და ჩვენ კვლავ გავხდებით მოწმე 1914 წლის ომებისა მეორე ინ—ლის მხრით. ამის ნიშნები უკვე არსებობს. საყოველთაო შრომის კონფერენციის კონგრესზე ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადმა ფინენმა გადაჭრით განაცხადა, რომ ჰააგის საზავო კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება ომის წინააღმდეგ ენერგიული კომპანიის ორგანიზაციის შესახებ ამ ჟამად განუხორციელებელია მუშათა მოძრაობის საერთო უძლურების გამო.

ასე აიხადა ნიღაბი მეორე ინ—ლმა. ფაქტიურად მუშათა მოძრაობის დამასუსტებელი არის მისი პოლიტიკა.

მაგრამ თუ ბელადები კიდევ ვერ განთავისუფლდენ იმპერიალისტების გავლენისაგან: სამაგიეროდ მუშათა კლასი თანდათან ფხიზლდება და თავს იყრის კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო რომელიც საბჭოთა რუსეთთან ერთად შეადგენს უძლიერეს ორგანიზაციას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად და კაპიტალიზმის ბატონობის დასამხობად.

# ახლო აღმოსავლეთი

### ქემალ ფაშის განცხადება.

**მოსკოვი.** 10 თებ. ლოზანას კონფერენციის ჩაშლის გამო ქემალ ფაშამ განაცხადა, რომ დიპლომატიის ცდამ დადებითი ნაყოფი ვერ გამოიღო.

### ოსმალეთის ჯარში.

**მოსკოვი.** 10 თებ. შვებულებაში წასული ოსმალეთის ოფიცრები გამოწვეული არიან ჯარში.

### ოსმალები და მოკავშირეები.

**მოსკოვი.** 10 თებგრ. ოსმალებმა წინადადება მისცეს ყველა მოკავშირეთა გემებს, რომელთა წყლის მოცულობა 1000 ტონს აღემატება, დასტოვონ სმირნის ნავთსადგური. იმ შემთხვევაში, თუ გემები არ წავლენ 8 თებერვლის შუაღამემდე ანგორის მთავრობა მიიღებს სათანადო ზომებს. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინეპოლში საერთო პროტესტი განუცხადეს ანგორის მთავრობას და აცნობეს, რომ თავიანთ მთავრობებიდან სათანადო ინსტრუქციის მიღებამდე მათ არ შეუძლიათ დაემორჩილონ ოსმალეთის ხელისუფლების განკარგულებას. კომისრებმა პასუხისმგებლობა შესაძლო გართულებისათვის დააკისრეს ოსმალეთს. სმირნაში გაიგზავნა ინგლისის კრეისერი.

### ამერიკა და ოსმალეთი.

**მოსკოვი.** 10 თებერ. მოლაპარაკება ამერიკასა და ოსმალეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ გრძელდება მიუხედავად ლოზანას კონფერენციის ჩაშლისა. ამერიკის მთავრობის მიერ შემუშავებული ხელშეკრულების პროექტი გულისხმობს სხვა და სხვა სავაჭრო პრივილეგიებს ამერიკისათვის და მთელ რიგ რელიგიოზურ და

კულტურულ გარანტიებს ოსმალეთში მცხოვრებ ამერიკის ქვეშევრდომთათვის.

**მუსტაფა ქემალის სიტყვა.**

**მოსკოვი.** 10 თებ. ქემალ ფაშამ სიტყვაში, რომელიც მან ბრუსაში წარმოსთქვა, აღნიშნა, რომ დანგრეულ ოლქების აღსადგენათ და ოსმალეთის მრეწველობის შესაქმნელად საჭიროა უცხოეთის კაპიტალის მოწვევა არ უნდა იყოს საზიანო ოსმალეთისათვის. „უნდა გვახსოვდეს, სთქვა ქემალმა, რომ ინდოეთი დაღუპა ინგლისის სავაჭრო კომპანიების კონცესიებმა“. მუსტაფა ქემალმა შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობამ გაიღო 2 ნახ. მილიონი ლირა მიწად-მოქმედების და საქონლის მოშენების განვითარებისათვის.

ზავის საკითხის შესახებ ქემალმა სთქვა: „ზავი ჩვენთვის საჭიროა ისევე როგორც ჩვენი მტრებისათვის· მათ იმედი აქვს, რომ ჩვენი რევოლიუცია დამარცხებით დამთავრდება და ამიტომ აჭიანურებენ ზავის დადებას. თუ ომი განახლდა, პასუხისმგებლობა ეკისრება მათ, ვინც ცდილობს ჩვენს დამცირებას და დამონებას. ჩვენ უარვყავით სულთანის რეჟიმი, დავღვარეთ სისხლი არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ შიგნით სახელმწიფოშიც რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ ძლიერნი ვართ და არ გვეშინია ჩვენი მტრების. ჩვენ მივაღწევთ ჩვენს მიზანს“.

**ანგორა.**

**სიმართლე საფრანგეთის შესახებ.**

**ანგორა.** 3 თებ. უკანასკნელი დროის ანგორის პრესამ მიიღო სასტიკი ტონი საფრანგეთის მიმართ. ყველა წერილში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი წარმოადგენს არა მარტო ლაქიას ინგლისის, არამედ მას ემჩნევა აგრეთვე მტრული განწყობილება განსაკუთრებით საფინანსო საკითხებში. ლაპარაკობენ ტყუილზე, რომელიც ჩაიდინა ფრანკლინ ბუიონმა. „ენიგიუნ“-ი იგონებს, რომ საფრანგეთი მომხრე იყო ბერძნების ანატოლიაში გაგზავნის. გაზეთი აღნიშნავს: საფრანგეთს წინანდებურად სურს ოსმალეთის დასუსტება და სირიის თავის მემკვიდრეობით ქონებათ გადაქცევა. ლოზანაში საფრანგეთი ჯერ ჩვენ გვამშვიდებდა, ხოლო ეხლა უფსკრულისაკენ მიგვაქანებს. ფრანგებმა საბოლოოდ დაჰკარგეს პრესტიჟი აღმოსავლეთში.

გაზეთ „ენი გიუნ“-ში 30 იანვრის ნომერში ნათქვამია: „საფრანგეთის მთავრობა წარმოადგენს სათამაშოს კაპიტალისტების ხელში. ჩვენი აღშფოთება საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოშობილია იმ ნიადაგზე, რომ ჩვენ ამის მიერ მოტყუებული დავრჩით. საფრანგეთს იმდენი საზღვაო და ხმელეთის ძალები არ მოეპოება, რომ ჩვენ გვაიძულოს ყველა პირობების მიღება. თუ ომი იფეთქებს მას მოჰყვება ჩაგრულ ერებზე იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბატონობის დანგრევა. დასასრულ გაზეთი ლაპარაკობს: საფრანგეთს ადგილი არა აქვს სირიაში ისევე· როგორც პალესტინაში და ეგვიპტეში.

**მუსტაფა-ქემალი ოსმალეთის ქალის სწორუფლებიანობის შესახებ.**

**ანგორა,** 5 თებერვ. მუსტაფა-ქემალმა თავის სიტყვებში წამოაყენა ოსმალეთში ქალთა სწორუფლებიანობის აუცილებლობა: სმირნაში ის გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც დაესწრნენ ქალები. ანატოლიის სააგენტოს მოჰყავს მუსტაფა-ქემალის სიტყვები ინგლისელ კორესპონდენტ ქალისადმი: „ოსმალეთში ქალები ჩამოიხდიან ჩადრებს“.

გამოვიდა რა მიტინგზე სმირნაში, მუსტაფა-ქემალმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოსმალეთის ყველა უბედურებანი სოციალურ წყობილებაში წარმოშობილია ქალებისადმი უყურადღებობით. მან განაცხადა: თუ სოციალური ორგანიზმის ერთი ნახევარი შეჩერებულია, მაშინ მეორეც უმოქმედოთ რჩება. ქალები და კაცები თანაბრად განვითარებული უნდა იყვნენ“. დასასრულ მუსტაფა-ქემალმა სურვილი გამოსთქვა, რომ მისი სიტყვები ქალების შესახებ უნდა შევიდეს ოსმალეთის მთავრობის პროგრამაში.

# ლოზანას კონფერენცია

**ლოზანას კონფერენციის დელეგაციების უკან დაბრუნება**

**მოსკოვი.** 10 თებ. 7 თებერვალს ოსმალეთის დელეგაციის დიდმა ნაწილმა ისმეტ-ფაშას მეთაურობით დასტოვა ლოზანა და გაემგზავრა ანგორაში.

რუსეთის დელეგაცია გაემგზავრა ორი საათის შემდეგ.

გამგზავრების წინ ისმეტ-ფაშამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის დაბრუნდება ლოზანაში დაახლოებით ერთი თვის შემდეგ საზავო ხელშეკრულებისათვის ხელის მოსაწერად.

**პუანკარე უარს ამბობს ცნობების მიცემაზე**

**პარიჟი.** 10 თებ. პუანკარემ განუცხადა გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, რომ მას არ აქვს განზრახული ამ ჟამად მისცეს მას ლოზანას კონფერენციაზე გატარებულ პოლიტიკის განმარტებები.

**პალატის სასწრაფო სხდომა**

**პარიჟი.** 10 თებ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში დანიშნულია სასწრაფო სხდომა მთავრობის პოლიტიკის შესახებ განმარტებების მიცემაზე პუანკარეს მიერ უარის თქმის გამო.

**საერთო ფრონტით ოსმალეთის წინააღმდეგ**

**ანგორა.** 3 თებ. სმირნის ჟურნალისტებთან საუბრის დროს მუსტაფა ქემალმა განაცხადა: ჟინიანობა ანტანტის სახელმწიფოების, რომლებიც ადგენდნენ მოთხოვნილებას, რომელიც ფეხქვეშ სთელავდა ჩვენს დამოუკიდებლობას. იწვევს მთელი ქვეყნის გაკვირვებას. შეკითხვაზე, ხალხის ხელისუფლების განსაზღვრის შესაძლებლობის შესახებ ქემალმა სთქვა: კონსტიტუციის მიხედვით მთელი ხელისუფლება განუსაზღვრელად ეკუთვნის ერს და არავითარ ცვლილებას ამ მხრივ ადგილი არ ექნება.

# უცხოეთი

**ჩიჩერინის ჩასვლა ბერლინში**

**მოსკოვი** 10 თებერვალი 6 თებერვალს ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა ბერლინში.

**მუშების დემონსტრაცია გელსინგფორსში**

**მოსკოვი** 10 თებერვალი. გელსინგფორსში მუშების კრებებზე და დემონსტრაციებზე ფინეთის პროლეტარული რევოლიუციის წლის თავზე მონაწილეობას იღებდა 10.000 კაცი.

**უმუშევრობა ლატვიაში**

**მოსკოვი** 10 თებერვალი, უმუშევრობა ლატვიაში ძლიერდება. უმუშევართა რიცხვი 20.000-მდე აღწევს. რიგის ბირჟაზე აღრიცხულია 4.000 უმუშევარი, 4 პროც.-ით მეტი წარსულ წელზე. უმუშევართა მდგომარეობა საშინელია.

**მემელის ბედი**

**მოსკოვი** 10 თებერვალი. 7 თებერვალს ლიტვის მთავრობამ პასუხი გასცა ანტანტის კომისიის ულტიმატუმზე მემელის საკითხის შესახებ. თავის პასუხში ლიტვის მთავრობა დაპირებას იძლევა მოახდინოს მორალური ზეგავლენა ლიტვის საზოგადოებრივ აზრზე და აჯანყების ორგანიზატორებზე მოსალოდნელი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და ანტანტის ავტორიტეტის აღსადგენად მემელში. ლიტვის მთავრობა ფიქრობს, რომ სასურველი შედეგი შეიძლება იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემელიდან გაწვეულ იქნებიან წარმომადგენლები და აგრეთვე, თუ იქნება იმის გარანტიები, რომ მემელის საკითხი განიხილება მემელის და ლიტვის მცხოვრებთა სურვილის თანახმად.

# რ უ ს ე თ ი

**სრულიად რუსეთის კომკავშირის ახალგაზრდობის კავშირის იაჩეიკების კონკურსი.**

**მოსკოვი.** 10 თებ. სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომ. კავშირის ცენტრ. კომიტეტმა დაადგინა გამართოს თებერვალში და მარტში კავშირის იაჩეიკების სრულიად რუსეთის კონკურსი. საუკეთესოდ ჩაითვლება ის იაჩეიკები, რომლებმაც საუკეთესოდ ჩაატარეს საქარხნო და საფაბრიკო სკოლების ორგანიზაცია, ახალგაზრდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი მუშაობა, იაჩეიკები რომელსაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვთ უპარტიო ახალგაზრდობასთან და გაუწიეს დახმარება ფლოტს,

**კოპერნიკის დაბადების 450 წლის თავი**

**მოსკოვი.** 10 თებ. 19 მარტს კოპერნიკის დაბადების 450 წლის თავის შესრულების გამო რ. კომ. ახალგაზრდობის კავშირის ც. კომ. დაადგინა მოაწყოს საღამოები კოპერნიკის და მისი მიმდევრების ჯიორდანო ბრუნოსა და გალილეის საპატივცემულოდ და საპლანეტო სისტემის ცოდნების გასავრცელებლად.

**დახმარება ტრანსპორტისათვის**

**მოსკოვი.** 10 თებ. შრომის დაცვის საბჭომ 1923 წლის იანვრისა და თებერვლისათვის სატრანსპორტო სამეურნეო დაწესებულებების შესანახად 10.500 პაიოკი გასცა.

**დახმარება მუშებისათვის**

**მოსკოვი.** 10 თებ. „საბჭოთა რუსეთის მეგობართა“ ნიუ-იორკის კომიტეტი რუსეთში ამანათების გაგზავნის ორგანიზაციას შეუდგა. კომიტეტი რუსეთის პროფ. კავშირებს სთხოვს უშუალოდ მას შეუთვალონ თხოვნები მუშების დახმარების შესახებ.

# ახალი ამბები

— **ტრამვაის ნაწილები გერმანიიდან.** სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა გაეხსნას ტფილისის აღმასკომს 4 ნახევარ მილიარდის კრედიტი სახალხო ბანკში საზღვარ-გარეთიდან მოსულ ტრამვაის ნაწილების გამოსაყიდათ ტრამვაისავე შემოსავლის გარანტიის ქვეშ.

— **მორიგ სახალხო მსაჯულების დამტკიცება.** დამტკიცდა, საგანგებო კომისიის მიერ წამოყენებული მორიგ მსაჯულთა—13-სია.

— **წითელი ჯარის ხუთი წლის თავი.** თანახმა წითელი ჯარის შეფთა ბიუროს მომართვისა, წითელი ჯარის 5 წლის თავზე დღესასწაულის მოსაწყობათ მიეცა აღმასკომის მიერ—50 მანეთი (ოქროთი).

— **აღმასკომის ნაშვილევი ნაწილები.** ქალაქის აღმასკომის მიერ შეფთა ბიუროში წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. ს. ეღენტი. აღმასკომის მიერ ნაშვილევ ნაწილებისათვის ყოველთვიური დახმარება განისაზღვრა 100 მილიონი მანეთით.

— **დარბაზების საკითხი.** სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა რათა რუსთველის ქ. №№ 10, 21-ში, განათლების კომისარიატის განკარგულებაში მყოფი ყველა დარბაზები გადავიდეს ტფილისის აღმასკომის განკარგულებაში.

— **მეხორცეების დაჯარიმება.** აღასკომის კომუნალურ განყოფილების მიერ დაჯარიმებულ იქნა მეხორცეები, რაზედაც სამმართველოს განყოფილებას წინადადება მიეცა გადაახდევინოს დადებული ჯარიმები შემდეგ მეხორცეებს მდივანოვს—40 მილიონი მანეთი, ბახჩიევს—30—, რაზმაძეს—20 და აბულაძეს 20 მილ. მან.

# სადღეისო ფიქრები

კოჯრი: გზაზე გავემგზავრე ავტომობილით. ეს თანამედროვე მანქანა ორჯერ გაგვიფუჭდა გზაში. ბევრი დრო დავკარგეთ ამის შეკეთებაზე. კარგა ხანია უკან ჩამორჩენილმა ურმებმა გაგვასწრეს, ჩვენი შოფერები კი სულ ავტომობილის ძძიმე მუცლის ქვეშ იყვნენ მიწაზე გაშოთილნი და მის არეულ შიგნეულობას მაინც ვერაფერი მოუხერხეს.

გამახსენდა ილია ჭავჭავაძის ნათქვამი: „ურმით უფრო სწრაფია მოგზაურობა, ვიდრე ავტომობილითაო.

ურემი რომ გაგიფუჭდება გზაში, იქვე გზის ახლოს ბუჩქებში შეძვრები, რადმე ჩხირს მოსჭრი, გაუკეთებ ურემს

# სატირიკონი

## იუმორისტული დამატება № 2.

### შალვა დადიანს

**ეპიტალამა მიხტერიით.**

ზოგ-ზოგის მუზა რომ მქონდეს ან მათი ფახი-ფუხია,
მუნ ლექსებს გამოვჩეკავდი, როგორც წიწილებს კრუხი
ან სიდუს გამოვიხმობდი, ამ მშვენიერსა ასულსა
მეგრულ ლეგენდას გეტყოდა—გადაგიშლიდა წარსულსა.
ან ღმერთი ვიყო მწყურია, მგოსნები მყავდეს მონებად:
ცის უამრავი მნათობნი მექნეს საკუთარ ქონებად.
პაოლოს მაშინ ვეტყოდი: რომ მისი ფარშავანგები
ქუჩის ღარებში მცურავნი, მზის სხივით განაშმაგები,
ჩემს სამკვიდროში დაფანტოს, ვით გაზაფხულის ჰანგები.
ზოგიერთი კი მგოსანი ცხენებით, ანგელოსებით
კავალერიას გამიწყობს მხედრებით მათებრ; ქოსებით
და დავალაგებ ჩემ ბჭესთან პარადის მისაღებათა
ციხედ დაუთმობ „ბახტრიონს“, „ლომისის“ ჯვარს კი ღერბადა.
აქ კომანდირის მოწვევა დამჭირდებოდა ძლიერა—
(მაჩაბლის დეზერტირობამ დამადნო, დამახნიერა)
და ვალერიანს ვეტყოდი უცნაურს ჩემს განზრახვასა,
დეზერტირკაზე შესძლებდა იგი მაჩაბლის ნახვასა.
არ დამჭირდება, მგონია, კავალერია სხვა გვარი,
ვირები თუმცა განაზდენ, ზურგი რომ ქონდათ მაგარი,
მაგრამ მანიფესტს დაგვიწერს რაჟდენი მათ სახმობადა.
თუ არ დათანხმდა, იცოდეს შევაფაფხურებ ზორბადა.
ამ მისტიური ძალებით შევქმნიდი რამე უნარსა.
ეპიტალამას დავწერდი არ მგონი დასაწუნარსა
და მოგიძღვნიდი სახსოვრად, ვით ჩემი მუზის თარია
იუმორისტს მეტი რაღა აქვს დიადთა საჩუქარია.

**დონ-ბაზილიო.**

### ახალი წლის შეხვედრა გურიაში

**წინეთ:** (მეკვლე მიადგებოდა კარებს და დაუძახებდა):

**ონისიმე:** კარი გამიღე!

**მაკრინე:** რა მოგაქ?

**ონისიმე:** მშვიდობა, სიყვარული, სიხარული, სიკეთე, ჯანი, ორასი წილიწადი სიცოცხლე, ხუთი ვაჟიშვილი, სამი ქალიშვილი წავლულები.

**ონისიმე:** კარი გამიღე!

**მაკრინე:** რა მოგაქ?

**ონისიმე:** ასი ქათამი ჩასუქებული, ინდაურები, ბატები, ხუთი ულელი ხარი, ორი ულელი კამეჩი, ათი დესეტინა მიწა, ვეებერთელა ოდა. ხუთი სასიმინდე სავსე.

კარი გამიღე!

**მაკრინე:** რა მოგაქ?

**ონისიმე:** ასი ფუთი ლობიო, ასი ფუთი ღვინო, ორასი არშინი ფართალი. ღმერთმა ქნას ყველაფერი ეს მართალი, ხუთი ათასი ოქრო, შენი კარგათ ყოფა და ბედნიერება.

**ეხლა.**

**ონისიმე:** კარი გამიღე!

**მაკრინე:** რა მოგაქ?

**ონისიმე:** ვაი თუ ჩამოვთვალე და გვისმენს ვინმე! მართალი ეგონებათ და ხომ დევილუპე კაკალო კაცი. ნალოგებს ვერ თუხვალ. მაკრინე, გენაცვალე, კარი გამიღე.

**მაკრინე:** რა მოგაქ?

**ონისიმე:** რა გვაქ, გენაცვალე, და რას მოვიტანდი. ჩვენისთანა გაჭირებული ეხლა არავინ არის.

**მაკრინე:** აბა, მუაწექი გენაცვალე კარებს მაგრათ და თვითონ გაიღება. ადგომა მეზარება.

**დონ-ბაზილიო**

### ძლვნად დღევანდელ ქართველებს

ვით გიჟმაჟი მთის ჩანჩქერი,
ვით პეპელა ცელქი, ანცი,
ისე დახტის ქართველობა.
აქეთ ბალი, იქით ტანცი.
ვილას ახსოვს გასაჭირი.
ვილას ახსოვს საქართველო,
ვინ დაგიდევს მის გასაჭირს,
რომ არ დასჭკნეს მისი მდელო.
ყველა ამბობს პირად გრძნობას,
საქმეს ყველა ეძალება,
თუ გამოჩნდა საკამათო
ენას ყველა ეძალება.
დღეს ასეა ქართველთ საქმე,
დღეს მათ ყველა დაეთმობათ,
მაგრამ დღეის შემდეგ, მე ვგრძნობ,
გულის გრძნობა შეეცვლებათ.
დღეს, რა ვუყოთ, მათ ცხოვრებას
არსად უჩანს გზა რჩეული,
და ეკლიან გზაზე სვლითა
დასჩხვლეტიათ ფეხის გული.
იმედი მაქვს ქართველები
შეიგნებენ თვის გასაჭირს
და ერთგულად, შეთანხმებით
მოუვლიან თვის ვარაამ-ჭირს.

**ანიკო.**

### გალაკტიონ ტაბიძე.

**ავტოსონეტი.**

შავბნელი სამარის ჩურჩულებს ნიავი,
ისმის ხმა სიავის და ჰანგი საზარი:
საზარი რამ არის დამპალი ქლიავი...
ჩურჩულებს ნიავი შავბნელი სამარის.

ერთ წუთსაც ფხიზელი არ მინდა ვარო
და გავიზიარო მეც ტანჯვის კისელი
დავდივარ ვით გველი უშხამუიაროთ.
არ მინდა ვიარო ერთს წუთსაც ფხიზელი.

ლურჯ ცხენზე მჯდარია დღეს სულის გოდება,
რესტორანს შორდება მგოსანი მკვდარია;
მომავლის არია უფსკრულში გორდება,
რომ სულის გოდება ლურჯ ცხენზე მჯდარია.

მაქვს ჩემი ჟურნალი და მეფის სახელი.
ვინ არის მნახველი ჩემი ან მკურნალი!
მიყვარს მე სურნელი ღვინის, ვით კახელი.
მაქვს მეფის სახელი და ჩემი ჟურნალი.

შავბნელი სამარის ჩურჩულებს ნიავი,
ისმის ხმა სიავის და ჰანგი საზარი
საზარი რამ არის დამპალი ქლიავი...
ჩურჩულებს ნიავი შავბნელი სამარის

**ტრა-დიცია**

რედაქტორი ავენ წკიპურტაძე

…სეც იქნისო. გაფუჭებულ ავტომობილს ერთი თვე დასჭირდება შესაკეთებაო.

რასაკვირველია, ჩვენი პოეტის მახვილი აზრი, საზოგადოდ რომ ავიღოთ, შემცდარი იყო.

ველურთა ცხოვრების წყობილება საზოგადოდ უფრო უბრალო, მარტივი იყო: ადვილად ირღვეოდა და ადვილად სწორდებოდა. ამის გამო ხომ ველურობის ხანის დაბრუნებას ვერცერთ ჩვენგანი ვერ ინატრებს.

მსოფლიო ომის შემდეგ მთელი კაცობრიობის დიადი სხეული დარღვეულია, მაგრამ მაინც ძველ დროს ვერ ვინატრებთ, როცა თვითეული ერი კაცობრიობას მოწყვეტილი იყო, განკერძოებული გზით მიდიოდა და ამ გზაზე თუ რამე იქვე თავის პატარა ფარგალში, თავის ეროვნულ ბუჯებში ადვილად ჰპოულობდა თავისი პატარა ეროვნული ერმის შესაკეთებელ საშუალებას.

დღეს პატარა ერის შვილი, ქართველი კაცი, მთელი მსოფლიო მშრომელ ხალხს: მთელ კაცობრიობას შესცქერის შეწუხებული, ტანჯული გულით ელის რა საშუალებას აღმოაჩენს, რა მალამოს დაადებს კაცობრიობა თავის მძიმე ჭრილობას, თავის ღრმა სატკივარს. ეს იმიტომ არის. რომ მთელი მსოფლიოს სატკივარი დღეს ქართველი კაცის სატკივარია.

მთელი მსოფლიოს ომმა, მთელი კაცობრიობის ფათერაკმა ჩვენი პატარა საქართველოც შესძრა, მთელ ჩვენ ხალხს დაეტყო. ეს იმიტომ, რომ დღეს ჩვენი ხალხი—კაცობრიობის ნაწილია, მტკიცე კავშირი აქვს მასთან.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. დიდი ჭირი დიდ ძიებას იწვევს. ეს ძიება, მომავალში დიდი ჭირის ასაცდენ საშუალების აღმოსაჩენად, დღეს მსოფლიო ფარგალში სწარმოებს. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ თუ არ გვსურს რომ გარიყული, მსოფლიოს მოწყვეტილი არ დავრჩეთ.

ბურჟუაზიამ დიადი კულტურა შექმნა და ძალა-უფლება ამიტომ დიდ ხანს იქნება იმის ხელშიო,—ამბობენ ბრმა შოვინის.ხედვის ურჩი ადამიანები. მერე როგორ მოხდა,—შევეკითხებით ჩვენ,—რომ მათგან შექმნილი კულტურის დიადი მანქანები ერთმანეთს დაეჯახა და კინაღამ კვალ—წმინდად არ განადგურდა. ჩვენ დიადი გემის და იმისი შემოქმედის სანახაობამ კი არ უნდა გაგვიტაცოს. იმას უნდა დაუკვირდეთ ღრმად და სერიოზულად, თუ ვის უჭირავს ამ გემის საჭე ხელში, ვინ არის მისი გამგე

მეშინია დანაელების თუმცა იმათ ძვირფასი საჩუქრები მოაქვთ ჩვენთვისო, —სთქვა ძველმა ბრძენმა.

უფრთხილდეთ დღევანდელ დანაელებს, თუმცა იმათ ძვირფასი კულტურა შესძინეს კაცობრიობას.—უნდა ვსთქვათ ჩვენცა.

აი რაზეა დაფიქრებული დღეს მთელი მსოფლიოს კაცობრიობის რჩეული ნაწილი: ვის ხელში უნდა იყოს სხვა და სხვა ეროვნებათა კულტურის საქმე, რომ მომავალში იმათ დიდი ფათერაკი, ერთმანეთზე დაჯახება ასცდეს,—რა გზით უნდა შეიქმნას მტკიცე ინტერნაციონალური კავშირი სხვა და სხვა ერთა შორის, ამ ფათერაკის სამუდამოდ ასაცდენათ.

რაც შეეხება იმ ადამიანთა წინასწარმეტყველებს, რომელნიც ამტკიცებენ— ბურჟუაზია დიდხანს იბატონებსო, რა გვეთქმის ამის შესახებ, გარდა იმისა, რომ იმათ სქელ შუბლს უკან ისე მაგრად სძინავს აზროვნებას, სალათას ძილით, რომ მსოფლიო ომის საშინელმა ლახვრის ცემამაც ვერ გამოაღვიძა: აბა თუ მომხდარა ოდესმე ღრმა ტეხილი კაცობრიობაში, რომელსაც ცხოვრების წყობილებაში ისეთივე ღრმა ცვლილება არ გამოეწვიოს?

ვინც ფიქრობს, რომ კაცობრიობა ისევ იმ ხალხს ჩაუგდებს ხელში ძალაუფლებას, რომელმაც დიდი ფათერაკი დაატეხა თავს მთელ მსოფლიოს, ვინც ისე უბრავად და ძველებურად მსჯელობს, ალბად კაცობრიობა იმ სულელთა ჯიშად მიაჩნია, რომელსაც წარსული არაფერს ასწავლის.

ქიმიის მეცნიერებაში ერთი საინტერესო ცდაა: წყლის მზგავს სითხეში რაღაც სხვა, აგრეთვე წყალსავით უფერულს სითხეს ურევენ. ცოტა ხნის განმავლობაში ეს შეერთებული სითხე უცვლელია: მერე ერთბაშად, ზედაპირიდან ჰსკერამდის, სულ განსხვავებულ კრისტლებად, მაგარ ქიმიურ მარილად იქცევა.

ჩვენი დრო სწორედ ასეთი, თუმც ძალიან მძიმე, მაგრამ დიდათ საინტერესო ცდის დროა კაცობრიობაში. კაცობრიობის აზროვნებას. განვლილი დიდი და მძიმე ტეხილის შემდეგ, ტანჯვით შობილი რაღაც ახალი აზრი გაერია, რომელიც დღეს თითქო უჩინარია. მოკლე მხედველობის მქონე ადამიანი, რასაკვირველია, მხოლოდ ცხოვრების ზედაპირს უცქერის, ამიტომ იგი ისევ ძველად, უცვლელად ეჩვენება. ამიტომაც იძახის—კაცობრიობის ბატონ-პატრონი ისევ ძველი, უცვლელი დარჩებაო. ამ ადამიანს კაცობრიობის წარსული არაფერს ასწავლის. იგი მხოლოდ იმას ეპოტინება, მარტო იმას მაგრად ჩასჭიდებია, რაც ხელის შეხებისათვის, თვალთა ხედვისათვის, ცხვირის ყნოსვისათვის და ყურთა სმენისათვის ცხადი და უცილობელია. კაცობრიობის ახალ ბატონ-პატრონს ხელს ვერ შევავლებ, ვერ ვხედავ, ვერ ვყნოსავ, და ვერ ვუსმენ, ამიტომ ისევ ძველი დარჩებაო,—აი დღევანდელი უძრავი ხალხის მსჯელობის კალაპოტი, აზროვნების ლოგიკა.

რა გზით უნდა მოუარო ამ შეუგნებელ ხალხს, რა უნდა დაუმტკიცოთ იმათ?

ერთი ცხარე კამათის დროს სწორედ ამ ჯიშის სულიერს ვერაფერი ვერ დაუმტკიცეს, ისეთი ბრმა ჯიუტობის ნიადაგზე იყო იგი გამაგრებული. სულ იმას იძახოდა:—რასაც თქვენ ამტკიცებთ, ვერსად ვერ ვხედავ მთელ მსოფლიოში: აბა მაჩვენეთ, თუ სადმეა, და მაშინ უთუოდ ვიწამებო.

— აბა ერთ წუთს ყური დაგვიგდეთ, ბატონო,—უპასუხეს ახირებულ მოკამათეს,—და შეკითხვაზე პირდაპირ გვიპასუხეთ: ჰხედავთ თქვენ საკუთარ თავში თქვენ საკუთარ ტვინს, თუ არაო?

— არა, არ ვხედავო,—იყო პასუხი.

— მაშ, რადგან არ ხედავთ, უთუოდ არცა გწამთ, რომ თქვენ თავში ტვინი არისო,—მოკლედ მოუჭრეს სიტყვა უცნაურ ადამიანს.

**ილია ნაკაშიძე.**

## კ. მ—ს.

აქ ჩემს ირგვლივ უდაბნოა,
მეც უდაბნო გულით დამაქვს.
და ძვირფასი საგანძური
თუ კი მქონდა, თუ კი რამ მაქვს.
მას ცხოვრების სინამდვილე
მინიავებს, მინადგურებს,
და ბნელ ფიქრებს, შავბნელ ფიქრებს
ჩემი გულის მუდმივ მდგმურებს
სადღაც მიყავთ ჩემი სული
დაინთება ჯოჯოხეთი,
ვიცი ეხლა ვერ დამიხსნის
ვერც დემონი, ვერც თვით ღმერთი
მე ხომ ისე პატარა ვარ,
ისე სუსტი და სათუთი
ვით ლერწამის ნაზი ტოტი
ვით წკრიალა შუშის ყუთი.
დავიმსხვრევი საყვარელო.
გეუბნები დავიმსხვრევი,
და წამიღებს ნიაღვარი
და ჩამითრევს ზღვის მორევი
დამარწმუნე ერთხელ კიდევ
შენს უმწიკვლო სიყვარულში.
მომათავსე მეგობარო
მაგ შენ ძლიერ, ამაყ სულში.
რომ იქ თავი შევავრდომო,
რომ იქ სული შევაფარო
დამიხსენი გევედრები,
და მიხსენი მეგობარო.
თუ არ გინდა შენი საფლავი
დაილუპოს დაიკარგოს
და ცხოვრების შავ დაფაზე
ტანჯვის ცეცხლად აიქარგოს.
ერთხელ კიდევ მოდი ჩემთან,
ერთხელ კიდევ მომეც ხელი,
უდაბნოში დარჩენილი
კვლავ გეძახი, კვლავ მოგელი.

1921 წ.

**ხაფო მგელაძე.**

# მუშათა ცხოვრება

**ბინის საკითხი და მუშათა კლასი.**

ისეთი დიდი მითქმა-მოთქმა და ინტერესი ჩვენს რესპუბლიკის დედა ქალაქ ტფილისში არც ერთ დაწესებულებას არ გამოუწვევია, როგორც საბინაო განყოფილებას; ვინ გინდათ, რომ „ქილოტდელზე" არ ლაპარაკობდეს: ვინ გინდათ, რომ ამ განყოფილების კარებთან რიგებში არ იდგეს; თქვენ ამ რიგებში ხშირად ნახავთ კარგ პალტო-ცილინდრებში გამოწყობილთ, რომელთაც ხელში ჯოხები უკავიათ და თითებზე ალმას-ბრილიანტის ბეჭდები. რა უნდათ ამ ხალხს აქა?—იკითხავს უმალვე მნახველი; ნუ თუ საბინაო განყოფილება იმისთვის აქვს მოწყობილი ალმასკომს, რომ ასეთი კლასის ხალხს აძლიოს ბინები?—სრულიადაც არა! ეს ხალხი სახლის პატრონები არიან, პროფესიით ვაჭარ-სპეკულიანტები და კომბინატორები. მოსულან აქა იმიტომ კი არა, რომ ოთახები მიიღონ, არამედ იმიტომ, რომ იქნება „როგორმე" ჩამორთმეული ბინები დაიბრუნონ. მოკლეთ რომ ვსთქვათ,—ეს ის ხალხია, რომელნიც რევოლიუციამდე ხუთ და ექვს ოთახში რომ თვითონ სცხოვრობდნენ მეშვიდეში, მერვეში და მეცხრეში კიდენ მსახურებს, „უცხო ფრინველებს" და „კარგი ჯიშის" ძაღლებს ინახავდნენ. ამ მხრივ ვინ არ იცნობს სოლოლაკის ბურჟუაზიას? რევოლიუციამ ყველაფერი გაუნადგურა ამ ხალხს და ამიტომაც არის რომ რევოლიუციას ისეთი დიდი მტერი არა ჰყავს, როგორც ბურჟუაზიული არისტოკრატია.

— მისაღები ოთახი, ბავშვებისთვის მუსიკის სასწავლებელი, ორი-სამი საწოლი ოთახები, სასადილო, ვანები, კარიდორები, სამზარეულოები და ვინ მოსთვლის კიდევ და ეს მაშინ. როდესაც ნაძალადევის, ვერის, ჩუღურეთის, ავლაბარ-ნავთლუღის და ორთაჭალის ჯურღმულებში მშრომელი მუშები ბნელ და ნესტიან ოთახებში შვიდი რვა სული სულსა ლაფავდნენ და ასეთ ობოლ და ამასთანავე ტრაგიკულ მდგომარეობას მუშათა კლასისას მაშინდელი მთავრობები ბუნებრივად სთვლიდნენ.

მაგრამ რევოლიუციის ბუნება სხვანაირია.

მომხდარმა მოძრაობამ ფართო ხასიათის რეფორმა გაატარა ბინის საკითხში და გადასწყვიტა მუშათა კლასის სასარგებლოდ.

თანახმად ალმასკომის დეკრეტისა, დღეს მდიდარი კლასის წევრს წართმეული აქვს უფლება თავისი ფულის ზეგავლენით დაიკავოს იმდენი ოთახი, რამდენიც თვითონ მოესურვება. არის ყველა მოქალაქისთვის ერთნაირი ნორმა— მორჩა და გათავდა.

მიუხედავად ამისა, საბინაო საკითხის ეს ახალი პრინციპი ჯერ სავსებით არ არის დაცული და განხორციელებული. და რომ გამარჯვებით დაგვირგვინდეს ამ მიმართულებით მუშაობა, საჭიროა ამისათვის ხანგრძლივი დრო, დაუშრეტელი ენერგია და ფართო კადრი მომუშავეებისა.

დღევანდელი საბინაო განყოფილების შტატი (საკანცელარიო პერსონალის გამონაკლისით), რომელიც არის წარმოგზავნილი პროფკავშირთა საბჭოს სახით სხვა და სხვა პროფესიონალურ კავშირებიდან, სდგას თავის კლასიურ შეგნების და მოვალეობის სიმაღლეზე და მუშაობს იმისდა მიხედვით, რამდენი დროც მის განკარგულებაში არის.

ვამბობ, რომ თავის სიმაღლეზე სდგას და ეს რასაკვირველია სრულიადაც არა ნიშნავს იმას, თითქოს მის მუშაობას არა სდევნიდეს თანა არავითარი დეფექტი. პირიქით და ეს დეფექტი გამომდინარეობს იმ უსისტემობიდან, რომელიც საბინაო განყოფილების მუშაობაში არსებობს.

დღევანდელ საბინაო განყოფილებას აქვს ერთი მთავარი პრინციპი და ეს პრინციპი ის არის, რომ დააკმაყოფილოს ბინებით საბჭოთა მუშა-მოსამსახურენი. სამწუხაროდ ეს პრინციპი ცოტა შერყეულია და ამიტომ მუშათა ფართე მასა დეკრეტების მიხედვით სასურველ შედეგებს ვერ აღწევს; დადგენილია, რომ მუშა-მოსამსახურემ საბინაო განყოფილებას ბინის დაკმაყოფილებისათვის უნდა მიმართოს პროფკავშირთა საბჭოს საბინაო სექციის საშუალებით და დანარჩენმა პირებმა, როგორც მაგ.: მილიციამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, სტუდენტებმა და სხვებმა თავიანთ დაწესებულებების საშუალებით. ეს სისტემაც ხშირად ირღვევა და ასეთ შემთხვევაში პროფკავშირთა საბჭოს მიერ წარმოგზავნილმა საბ. განყ. თანამშრომელმა აღარ იცის, თუ ვისთან აქვს საქმე და ვის ემსახურება.

ალმასკომთან არსებობს, რასაკვირველია საკონფლიქტო კომისია და მიუხედავად ამისა, აუარებელი სახლის პატრონები გვერდს უვლიან ამ საკონფ. კომისიას და პირდაპირ საბ. განყოფილებას მიმართავენ საპრეტენზიო თხოვნებით რითაც დიდ და ძვირფას დროს ართმევენ სალი მუშაობისათვის საბინაო განყოფილებას.

— ვინ საჭიროებს, ან ვისა სურს ბინები?

როცა ასე სდგება საკითხი, ჩვენ, როგორც ზემოხსენებულ განყოფილებასთან ახლოს მდგომი ვამბობთ:—ყველას, ვინც მართალა ცის ქვეშ დარჩენილა ცოლშვილით და აგრეთვე იმათაც, რომელთაც მიხეილის ქუჩაზე მობეზრებიათ ცხოვრება და ეხლა სურვილი დაბადებიათ რუსთველის პროსპექტზე ცხოვრებისა. აი აქ ისმება სწორედ ჩვენთვის საინტერესო საკითხი:—არსებობს თუ არა ისეთი წესი, არის თუ არა ისეთი სისტემა შემოღებული, რომელიც საშუალებას აძლევდეს საბინაო განყოფილებას შევიდეს იმის განხილვაში და გაიგოს თუ მართლა ვინ საჭიროებს ბინებს და ვინ არა?

სამწუხაროდ არ არსებობს.

ბინები ურიგდებათ პირებს სრულიად წინასწარი კანტროლის გარეშე. გსურს შენი ფანტაზიით რამე გააკეთო, გინდა ახალი ბინა მიიღო, მოგბეზრდათ ძველ ბინაზე ცხოვრება,—ამისათვის საკმარისია შეიტანოთ განცხადება საბინაო განყოფილებაში ყოველგვარი ფორმალობის გარეშე და თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ბინას მიიღებთ—მორჩა და გათავდა.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ პროფკავშირში არსებობს შრომის დაცვის (ახრანა ტრუდა) განყოფილება, რომელიც მოვალეა მოთხოვნილების დროს ამა თუ იმ მუშის, ან მოსამსახურის ძველი ბინა შეამოწმოს, მაგრამ ეს წესი იოტის ოდენად არ არის დაცული.

ის აუარებელი სადეფექტო მასალა, რომელიც ხშირად მოგვეპოვება ხოლმე ჩვენ ტეხნიკური მოსაზრებით შეუძლებელი ხდება მისი გაზეთების ფურცლებზე გადმოტანა და ამიტომ მუშები მოკლებული არიან გაგების საშუალებას იმის შესახებ, თუ რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ას მთხოვნელში 10—15 მუშა ძლივს ღებულობს ბინას.

ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, როგორც ზევითა ვსთქვით, რომ საბინაო განყოფილებას სამუშაო სისტემა არ უვარგა და როგორიც მას ამ ჟამად აქვს, იმით ვერ არის მიზანშეწონილი მუშების მიერ ბინების მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

როგორცა ვსთქვით, ყოველ დღე დიდი კუდები არის საბ. განყოფ. კარებში, მაგრამ თქვენ იქ იშვიათადა ნახავთ მუშას. დიდი უმრავლესობა არიან სახელმწიფო სამსახურის მოხელეები, სტუდენტები, მილიციონერები და, როგორც ვსთქვით, სახლის პატრონებიც. მოქალაქემ რომ ბინა მიიღოს, ამისათვის საჭიროა კვირები და ხშირად თვეებიც და მკითხველი ადვილად დაგვეთანხმება, რომ ქარხნის მუშას ამას უკან დევნა არ შეუძლიან, მაგრამ დანარჩენი კატეგორიის ხალხი ამის ადვილად ახერხებენ და აკი ფონსაც გადიან.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა გაზეთის ფურცლებზე წაგვეკითხა საბინაო საკითხის შესახებ წერილები, სადაც სტატისტიკური ციფრები გველაპარაკებიან, რომ დიდი პროცენტი ბინებისა მიუღიათ **მუშა-მოსამსახურეებს.** ამ [illegible] რიტ ფაქტს ჩვენც ვადასტურებთ, [illegible] რომ ჩვენ გვინდა [illegible] ლად დავაგენოთ [illegible]

— რამდენი პროცენტი [illegible] ძოდ კვალიფიციურმა **მუშამ პირველი კატეგორიისა** და რამდენი პროცენტი დანარჩენი კატეგორიის **მოსამსახურემ?**

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა წინასწარმეტყველის როლი ვიკისროთ, მაგრამ თუ ჩვენ ცალკ-ცალკე ციფრებს გამოვამჟღავნებთ, ვფიქრობთ, რომ სანუგეშოს ვერაფერს ვერ დავინახავთ მუშათა სასარგებლოდ.

ჩვენ ამ საკითხით უაღრესადა ვართ დაინტერესებული არა იმიტომ, თითქოს ამას ჩვენ მუშური ეგოიზმი გვიკარნახებდეს, არამედ იმიტომ, რომ დღეს ძალიან ბევრი რამ კეთდება მუშათა სახელით და გვინდა ვიცოდეთ, სახელთან საქმეც არის თუ არა ე. ი. ჩვენ გვინდა საკითხი სამართლიან ნიადაგზე დავაყენოთ.

ჩვენ რა თქმა უნდა გაკვრით ვეხებით საკითხს და დეტალურად არ აღვნიშნავთ დამაბრკოლებელ მიზეზებს საბინაო განყოფილების მუშაობის პროცესში, მხოლოდ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ის მცირე შტატი თანამშრომლებისა, რომელიც ამ ჟამად საბინაო განყოფილებას ჰყავს, მხოლოდ წვეთია ზღვაში და ამავე დროს არც სახარბიელო პირობებში არიან ჩაყენებულნი.

რევოლიუციამ მოგვცა სასურველი შედეგი, მოგვცა კარგი საბინაო რეფორმა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქის ალმასკომმა და კერძოდ პროფკავშირთა საბჭომ კარგად უნდა გამოიყენოს მონაპოვარი და გაუნაღდოს მუშებს ეს რეფორმა რეალურად.

ძუნწობა და უაზრო ყაირათი მუშათა კლასს სრულ გამარჯვებამდე ვერ მიიყვანს.

ჩვენ სასურველად და სასარგებლოდაც მიგვაჩნია, რომ საბინაო განყოფილების ლიკვიდაცია მომხდარიყო ალმასკომთან და მისი ფუნქცია გადასცემოდა პროფკავშირთა საბჭოს, ვინაიდან დღევანდელი საბ. განყოფილება, რომელიც ბევრ შემთხვევებში პროცექციონიზმის ქვეშ სულსა ლაფავს, დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს მუშათა კლასს.

ამ საკითხს მუშების საყურადღებოდ ჩვენ შემდეგ წერილშიც შევეხებით.

**მუშა დ. მელი**

**ფეიქართა კავშირში.** ფეიქართა კავშირის წინადადებით კვირას. 10 თებერვალს, მოეწყობა წითელი ფლოტის დღე. ამ დღის ნამუშევარ ხელფასს ყველა საფეიქრო დაწესებულებებში, მუშა-მოსამსახურენი გადასდებენ წითელ ფლოტის სასარგებლოდ.

ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა; მიეცეს კომპენსაცია (ზედმეტ მუშაობისათვის) იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც გასულ წლის განმავლობაში არ უსარგებლიათ კანონიერი შვებულებით.

**დამზღვევ კასაში.**

— დამზღვევ კასის პრეზიდიუმის მიერ დადგენილია, რომ მუშა-მოსამსახურეთა პენსიების დასარიგებლად ტრამვაის პუნქტზე გახსნას კასა მახლობელ რაიონის (დიდუბე, ნაძალადევ და სხვა ადგილების მცხოვრებლებისათვის) და აქედან მიეცეთ დახმარება და ამით მოისპოს ის რიგები, რომელსაც აქვს ადგილი ცენტრალურ კასასთან. ამ რაიონში 29 დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი მიიღებენ დახმარებას.

— დამზღვევმა კასამ დიდი ყურადღება მიაქცია უმუშევარ მუშებს და გაუდიდა დახმარებანი—შემდეგ ნაირად: მომზადებული (კვალიფიციური, მუშებს მიეცემათ საშუალო ხელფასის მიხედვით) —2,100,000 მანეთი (ქართული ბონებით). ნახევრად მომზადებულნი — 1,500,000 მანეთი შემდეგ დაყოფილია კატეგორიებად. 7 კატეგორიის ხელფასის მიხედვით—იღებენ: 700,000 მანეთს 8—12 კაც.-დე—1,050,000 მან. და 13—17 კატ.-დე 1,400.000 მანეთს.

გადიდებულია აგრეთვე მუშა-მოსამს. პენსიები, შემდეგი სატარიფო ცხრილით (რომელიც გატარებულ იქნება ა. წ. პირველ თებერვლიდან (ათასი მანეთით):

**ტარიფი მუშებისთვის** 1 **კატეგორია** 24000; 2 კატ. 2.880; 3 კატ. 3.360; 4 კატ. 3.840; 5 კატ. 4,320; 6 კატ. 4.800; 7 კატ. 5.280; 8 კატ. 5.760; 9 კატ. 6.730.

**ტარიფი მოსამსახურეთათვის** 1 **კატეგორია** 2.100; 2 კატ. 2.520; 3 კატ. 2.940; 4 კატ. 3.360; 5 კატ. 3.780; 6 კატ. 4.200; 7 კატ. 4.620; 8 კატ. 5.040 9 კატ. 5.670; 10 კატ. 6.300; 11 კატ.

6.720; 12 კატ. 7.350; 13 კატ. 7.720; 14 კატ. 8.400; 15 კატ. 9.030; 16 კატ. 9.660; 17 კატ. 10.500; ამას გარდა მშობიარობისათვის დასახმარებლად მიცემული იქნება 2.800 ათასი (წინანდელს 680 ათ.) დასამარხავად 4.000000 (წინანდელ 680000) მანეთი. მკვებავთათვის 1.200 უმუშევართა დაზღვევისთვის პრეზიდიუმის მიერ შრომის ბირჟასთან დაარსებული სოციალურ დაზღვევის განყოფილება.

— დამზღვევმა კასამ დაადგინა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც ავად გახდებიან სამი დღის განმავლობაში დახმარება უნდა მისცეს თვით დაწესებულებამ, სადაც მუშა-მსახურებს, სამი დღის ზევით კი დაზღვევმა კასამ. ამას გარდა კასამ დაადგინაა გაგზავნოს ხოლმე თავის ხარჯზე ავადმყოფი მუშები აგარაკებზე (სანატორიუმებში) დამზღვევ კასას გადაწყვეტილი აქვს დაარსოს სამკითხველო და შეიძინოს წიგნები, რომელიც ეხებიან დამზღვევ კასის საკითხებს.

— სამკურნალო-საკანტროლო ექსპერტთა კომისია ჯანმრთელობის კომისარიატიდან გადმოყვანილია დამზღვევ კასაში.

— დედათა და ბავშთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამზღვევმა კასამ დაადგინა, ამ მიზნისთვის გადარიცხოს საკმაო თანხა.

# მწარე ფიქრები

**პატარა სურათი ჩვენი მშრომელ გლეხის ცხოვრებიდან.**

სოფ. ა....ის სადგილ-მამულო კომისიამ 1922 წლამდე ზედმიწევნით შეასრულა საბჭოთა მთავრობის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი № 17. 1922 წლამდის სრულებით ლატაკი ამავე სოფლის მცხოვრები გიო ოცხებაძე ნეტარებით უყურებდა თავის მეზობელ მემამულეებს გლეხებს, რომლებსაც საკუთრებათა ჰქონდათ რამდენიმე დღიური სახნავ-სათესი მიწა და კარმიდამო საპოსტნე ადგილით. გიო ხშირათ ამბობდა თავისთვის ეჰ! ი დალოცვილი ღმერთი ჩემ გაჩენაში არა ყოფილა, თორემ თუ კი ამ ხალხსა აქვს საკმარი მიწა მე ან მამაჩემა, რაღა დაგვაშავეთ, რომ ერთი ნაჭერი მიწა ჩვენთვის არავის გაიმეტა? მეც და ცხონებული მამაჩემიც ხომ დაუღალავათა ვშრომობდით და დღეს კი მე ვშრომობ ლუკმა პურისათვის და მაინც მშივრები და ტიტველები ვართ. ერთი ნაჭერი მიწა, რომ მქონოდა თავს შიგ ჩავიკლამდი და ოჯახისთვის ყველა საჭირო მოსავლის მაინც მოვიყვანდი. მაგრამ, როგორც ვხედავ, ჟამიდან ვარსკვლავზეც ყუთილვართ დაბადებულნი, იმ ადგილზე ერთ პატარა ქოხსაც როგორმე დავიდგამდი და სხვის შემყურადი და აქა იქა მოსკეფებში ალარ მომიხდებოდა ჩემი ცოლშვილით თრევა.

მუშაობდა, ოცნებობდა, სჭამდა, თუ დადიოდა — სულ ამ ფიქრებში იყო გიო გლეხთა მოძრაობამ ბევრჯერ ჩაუნერგა იმედები, მიწის მიღებაზე, მაგრამ მაინც ბევრმა ხანმა განვლო, რომ გიო მიწას ვერ ეღირსა.

1922 წელში გიო სულ სხვა სანახავი იყო მას შემდეგ, როდესაც სოფლის სადგილ-მამულო კომისიამ დაიბარა და შემოუცხადა: „გიო, გიო, ოთხი დესეტინა სახნავ-სათესი მოგიზომეთ, წყაროებში, და ახლა შენ იცი, როგორც დაამუშავებო“, გიოს არა სჯეროდა, რომ მას მართლა ოთხი დესეტინა სახნავ-სათესი მიუზომეს და იქვე მუხლმუხით წამოსძახა: — ეჰ, მაგ მედნიერებას ვინ მომანიჭებს, ჩემთვის ვინ გაიმეტებს ოთხ დესეტინა მიწასაო“. მაგრამ იქვე მდგომმა მეზობელმა დაარწმუნა, რომ მას მართლა მისცეს სახნავ-სათესი მიწა. ამ სიტყვების გაგონებაზე გიოს სახე ოდნავ გაუბრწყინდა და მაშინვე კომისიის ერთ წევრისკენ გაეშურა და შეეკითხა: — ივანე მართლა წყაროებში ბაღდიასეული მიწა მამეცით?

„განა არა გჯერა, გიო, რაც გამოგიცხადეთ“, მიუგო ივანემ.

— „რა ვიცი, ივანე მაგოდენა მიწა, განა ადვილი გასამეტია ჩემისთანა ბედშავ კაცისათვის? მიუგო გიომ და პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ მადლობაც გამოუცხადა ივანეს.

— „ჩვენი საკუთრება ხომ არ მოგეცით, გიო, სახელმწიფო ფონდიდან მიგიზომეთ, ჩვენი მთავრობის სურვილისამებრ, წადი ეხლა, და აბა შენ იცი, რომ შენ ცოლშვილს შშიერს და ტიტველებს აღარ ამყოფებ“.

გიო მძიმედ გამობრუნდა და სიხარულით გასწია შინისკენ თავის მეუღლის გასახარებლად.

— დედაკაცო, შენ იცი, რომ წყაროებში ჩვენ ოთხი დესეტინა მიწა მოგვცა მთავრობამ? აბა ეხლა ნახე როგორ დავამუშავებ და შემოდგომაზე ერთ კარგ კაბას ჩაგაცმევ, „სიხარულით აღტაცებული ეუბნება გიო თავის ცოლს.

— როცა დაიმუშავო იმდენა მიწა, დასთესო მომკა, გალეწო და ზედმეტი ხორბალით, ნაკაზე მიყიდო და ილიაში ამოჩრილი სასყიდი კაბა მოიტანო სახლში, მაშინ მახარე; აი კაბა მოგიტანეთქო. იმ ოთხ დესეტინას დასთოხნი, დამბარამ, თუ შენ ნაშა ხარებს, რომლებიც არა გვყავს. შააბამ და იმათი ძალით მოხნამ და დაჰფარცხამ? ეგ მთელი მიწა სამოსტნე ადგილის გარდა; ისევ საქონლის პატრონ გლეხკაცის ხელში ჩავარდება შენ კი მოსავლის უმნიშვნელო ნაწილს მოგცემს, რომელიც წლის განმავლობაში, არც კი გვეყოფა; მიწის პატრონს ჩემო გიო. საქონელიც უნდა ჰყავდეს; უსაქონლოდ კი ისევ ის გიო იქნები, რაც აქამდის იყავი“.

ამ სიტყვების გაგონებაზე გიო კვლავ მწარე ფიქრებს მიეცა, ხანმოკლე სიხარული უფრო ხანგრძლივი მწუხარებათ გადაექცა, როდესაც თავის ხელმოკლეობა გაითვალისწინა დარწმუნდა, რომ ბოლოს იმის მშვენიერმა სახნავ-სათესმა ისევ სხვა, საქონლის პატრონი უნდა გაახაროს, ასევე იმის ცოლშვილი გააძღოს და შემოსოს. აქამდის მიწა ჰქონდა გიოს საოცნებო, და სანეტარო ეხლა კი უღელი ხარი გაუჩნდა საოცნებოთ.

— ან ნეტავი ეხლა უღელი ხარი მყავდეს და ალარაფერი მინდა, ჩემ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, სრული ბედნიერი ვიქნებოდი. მაშინ ყველა უღელ ხარიანები შევგროვდებოდით და სუბუქი გუთნით ჭალვილათ გადავხნავდით და დავფარცხამდით ჩვენ მიწებს. ან მთავრობამ მოგვიგდოს ყური, მოგვცეს ადვილი სახნავი გუთნები, რუსულ სოხას, რომ ეტყვიან ისეთები, ცოტა რამ სხვა სხვა საჭირო იარაღი. ორი ან სამი ცხენი. მაშინ ჩვენ ვიცოდით, როგორც ავადგენდით ჩვენ ოჯახს მთავრობასაც ისევ მალე დაუბრუნებდით იარაღის ღირებულებას.

ცოლის სიტყვების შემდეგ ახლა ასეთ მწარე ფიქრებს მიეცა ჩვენი ბეჩავი გიო.

ქ. ხევისუბნელი.

# გულო აღა კაიკაციშვილის გარდაცვალების გამო

ქობულეთში გარდაიცვალა 8 თებერვალს, გულო აღა კაიკაციშვილი 83 წლის მიღწეული მოხუცი. ამ კაცს მეტად დიდი-ამაგი მიუძღვის ქართველ მაჰმადიანთ წინაშე. 50 წლის განმავლობაში იგი დარაჯათ ედგა ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას და მხურვალედ იცავდა მათ ვინაობის პატივისცემას და შეგნებას, ეს კაცი მოქმედებდა ყოველთვის მოურიდებლივ, თავდადებით, სიტყვით და კალმითაც კი ქართულ გაზეთებში 1870 წლიდან.

ამ მოხუცი დარბაისელი მოღვაწის ცხოვრება და მოღვაწეობა აღნუსხავს ზ. ჭიჭინაძეს და ეს ამ აღწერის წაკითხვას აპირებს ტფილისში, მის მერე ბათუმს და ქობულეთშიაც. ამ აღწერას დაკავშირებული აქვს აღწერა ოსმალოს საქართველოსი, ქართველების ისლამთან დაკავშირება და მის მერე ქართველთ გათურქება: ოსმალეთმა საქართველოს ადგილები დაიკავა 24 მაზრა, ეს ადგილები მათ გაყვეს 24 სანჯაკათ.

ყველა ამ ადგილებში ქართველი ერი სცხოვრობდა და მათი დედა ენაც იყო ქართული. სადღეისოთ ქართული ენა დაკარგა 17 მაზრამ, ქრთულს ლაპარაკობენ მხოლოდ 7 მაზრაში, მაგალითები ქობულეთი 2, აჭარას 3, ზეგანს 4, მაჭახელს 5, ლივინის ხევს 6, მურღულის ხევს და 7 იმერხევს, შავშეთში.

# ზაქარია გრიქუროვის უძველესი წიგნის მაღაზიის ფირმა ტფილისში 1873—1923 წ.

ზაქარია პეტრეს ძე გრიქუროვმა თავის წიგნის მაღაზია ტფილისში გახსნა 1873 წ. სწორეთ იმ ალაგას, სადაც იგი დღესაც არსებობს.

ამ წიგნის მაღაზიის ფირმას ჭიდი კავშირი აქვს ქართველი ერის განათლების საქმეებთან, რადგანაც ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზია ქართულს წიგნებსაც ბეჭდავდა.

ზაქარია გრიქუროვი გარდაიცვალა 1910 წელს, ამის მაღაზიას დღეს აწარმოებს განსვენებულის მეუღლე ქვრივი სოფიო ივანეს ასული გრიქუროვისა.

ამ უძველეს მაღაზიას დიდი სამსახური მიუძღვის, როგორც ქართველი ერის წინაშე, ისე სომხების, ვინაიდან ზაქარია გრიქუროვი ორივე ენაზედ ბეჭდავდა მრავალი სხვა და სხვა წიგნებს.

იაკობ გოგებაშვილმა თავის წიგნების გამოცემა იმ ფირმის დახმარებით მოაწყო. თვით დასურათებული „დედა-ენაც“ ზაქარია გრიქუროვის ფირმამ გამოსცა. ასევე სხვაც ბევრი წიგნები. მაშინდელი სახელმძღვანელო წიგნები ქართულს ენაზედ სულ იმ ფირმისაგან იბეჭდება.

სხვათა შორის, ზაქარია გრიქუროვმა ცალკე წიგნად გამოსცა ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა“. ამ მოთხრობაში ყაზბეგს ცენზორი ადგილები ჩაუმატნია, ამიტომ მთელი გამოცემა 2400 ცალი წიგნი ცენზორამ წაართვა და დაუწვავს, რისგანაც ზაქარია გრიქუროვმა ნახა დიდი ზარალი.

გოგებაშვილის წიგნებს გარდა ზაქარია გრიქუროვი ბეჭდავდა სხვა ქართველი პედაგოგების სახელმძღვანელო წიგნებს, მაგალითებს ბეჭდავდა ნატროშვილის არითმეტიკებს, ქუთათელაძის გრამატიკებს და სხვაც ბევრი წიგნები აქვს გამოცემული, ასევე მას ბევრი წიგნები აქვს სომხურს ენაზედაც დაბეჭდილები, ასე და ამ გვარად ამ მაღაზიას ერთობ დიდი სამსახური მიუძღვის ქართველთ და სომხეთა წინაშე. თვით ზაქარია გრიქუროვი განათლებული კაცი, მასწავლებელი გახლდათ. ათი წელიწადი სომხის სემინარიაში მუქთად ასწავლიდა ბავშვებს და 30 წელიწადი მუქთად ასწავლიდა გაიანეს ქალების სასწავლებელში. თვით შეკრიბა ნაწერი წიგნები და დაბეჭდილები სომხურ ენაზე.

სხვათა შორის, სწორედ იმ წელიწადს, როცა გარდაიცვალა ზაქარია გრიქუროვი, სომხურს ენაზე ცალკე წიგნად დაბეჭდა საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან, რაც საყურადღებო იყო დიდად ჩვენთვის, წიგნს აქვს მეტად კეთილშობილური მიმართულება ქართველი ერის შესახებ.

ამგვარად, წელს 1923 წ. შესრულდა 50 წელიწადი რაც ეს ფირმა არსებობს ტფილისში და მას აქვს მეტად დიდი სამსახური დადებული ქართველების და სომხების წინაშე. დღეს ამ ფირმას აწარმოებს განსვენებულის მეუღლე სოფიო ივანეს ასული გრიქუროვისა, რომელიც განიცდის დიდ გაჭირვებას.

ზ. ჭ.

# ბიბლიოგრაფია

„Опыт слияния предметов в одной из школьных групп“. გამოცემა განათლების მუშაკთა სახლისა, 32 გვ. ტფილისი, 1923 წ.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა ღარიბია, განსაკუთრებით მეცნიერული და ყველაზედ უფრო პედაგოგიური. მოსალოდნელი იყო, რომ უკანასკნელი ნაკლის შევსებას შეეცდებოდა განათლების მუშაკთა კავშირი და მასთან არსებული „განათლების მუშაკთა, სახლი“. ამ უკანასკნელის პირდაპირი და მთავარი დანიშნულება სწორედ ეს უნდა გამხდარიყო ჩვენს პირობებში, როცა კერძო გამომცემლობისათვის ხელსაყრელი არაა პედაგოგიური წიგნების გამოცემა. მაგრამ კავშირის და „სახლის“ ხელმძღვანელებს ეს ვერ შეუგნიათ და მათი პირველი გამოცემა რუსულია. ნაცვლად იმისა, რომ საკმაოდ მდიდარი და საინტერესო რუსული პედაგოგიური ლიტერატურა სთარგმნონ ქართულად და გამოსცენ, ესენი აქაც რუსულად გამოცემულ წიგნებს გვაწვდიან. რასაკვირველია რუსული წიგნებიც საჭირო და აუცილებელია საქართველოში და მათი გამოცემის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ რუსული წიგნების გამოცემა მაშინ, როცა ქართულის საჭიროება მეტია და როცა რუსული ისედაც ბლომად იშოვება, ქართული კი არა-უსათუოდ სწორი გზიდან აცდენაა.

რაც შეეხება გასარჩევი წიგნაკის შინაარსს, ის წარმოადგენს ერთ მოხსენებას, რომელიც წაკითხულ იყო განათლების სახლის პედაგოგიურ ქვესექციაში და რომელიც შეიცავს მოკლე ანგარიშს ერთ სკოლაში წარმოებულ მუშაობისა. ანგარიში ეხება მხოლოდ ორი თვის მუშაობას და ისიც ერთ განყოფილებაში, სახელდობრ V ჯგუფში, რომელშიაც ყოფილა 25 ბავში. 25 მოწაფესთან ორი თვის განმავლობაში მუშაობა რომ საკმაო მასალას იძლეოდეს წიგნის შესადგენად და გამოსაცემად, მაშინ ჩვენაც ძალიან მდიდარი პედაგოგიური ლიტერატურა გვექნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ პედაგოგიური კვლევაძიება გაცილებით უფრო სერიოზული რთული და მძიმე საქმეა. საჭიროა სისტემატიური მუშაობა და დაკვირვება ასეულ და ათასეულ ბავშვებზედ წლების განმავლობაში, რომ ისეთი შედეგი მიიღო, რომლის წიგნად გამოცემა გაუმართლებელი არ დარჩეს. ორი თვის მუშაობა 25 ბავშთან, რაღა თქმა უნდა, ასეთ მასალას ვერავის მისცემდა. ამიტომ ამ მოხსენების ცალკე წიგნად გამოცემა, ჩვენის აზრით, არაა მოსაწონი და გამართლებული. მასწავლებელთა წრეში ასეთი მოხსენებების წაკითხვა და გარჩევა ფრიად საჭირო და აუცილებელია. წიგნის შინაარსს კი უნდა შეადგენდეს გაცილებით უფრო დამუშავებული და დამთავრებული ცდა, რომელიც რაიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ხსენებულ წიგნაკში აწერილია მხოლოდ დასაწყისი ერთი ცდისა და მის შესახებ რაიმე აზრის გამოთქმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე შედეგს მოიტანს. ჯერ-ჯერობით კი ვერაფერს ვიტყვით გარდა იმისა, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი მასწავლებლები ღირსნი არიან ყურადღებისა და წახალისების, რომ მიუხედავად ცუდი პირობებისა მაინც ეწევიან შემოქმედებითი მუშაობას და თავის წვლილი შეაქვთ ახალი სკოლის ძიებაში.

სწორედ ამ მიზნით გვინდა შევეხოთ ჩვენ მიერ შენიშნულ ერთ გაუგებრობას. მასწავლებლებს გადაუწყვეტია ნაცვლად საგნებრივი სისტემისა სცადონ სასწავლო საგანთა გაერთიანება, გადაბმა მაგრამ რა პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად საგანთა გაერთიანებას?

„რომ ეს უნდა იყოს შინაგანი, გამაერთიანებელი იდეა, და არა შემთხვევითი გარეშე ნიშანი, ეს ჩვენთვის ნათელი იყო, ვკითხულობთ 7 გვერდზედ. მაგრამ ბავშვის განვითარებაში სახელდობრ რა უნდა იქნას აღებული გამოსავალ პუნქტად, რომელსაც შეეძლოს გახდეს საგანთა გაერთიანების ცენტრი? ასეთ ცენტრად ჩვენ წამოვაყენეთ **ბავშთა ასაკის ინტერესი**“. აქედან ცხადია, რომ საგანთა გამაერთიანებელ ძაფად მიჩნეულია ამა თუ იმ ასაკის ინტერესი. მაგრამ გამოურკვევიათ რა დამახასიათებელი ხასიათი სხვა და სხვა ასაკის ინტერესისა, შეუძლებლად მუშაობა... ...„საფუძვლად რაიმე გარკვეული ეხაა ბავშვის შეჰყავს თანამედროვე კულტურაში კაცობრიობის სხვა და სხვა ხტადიათა განცდის საშუალებით“. (8 გვ.)

აქედან და წიგნაკის სხვა ადგილებიდანაც ვრწმუნდებით, რომ საგანთა გაერთიანებას საფუძვლად დასდებია პრინციპი **ევოლიუციისა**. და სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. სასწავლო საგნებისათვის ბავშთა ინტერესი სწორედ შემთხვევითი და გარეშე რამაა. თვით საგანთა შინაგანი, გამაერთიანებელი იდეა კი შეიძლება იყოს ევოლიუციის პრინციპი. ბავშთა ინტერესი საფუძველია სალი მეთოდის. მაგრამ იგივე არ გამოდგება და არც გამოუყენებია ხსენებულ მასწავლებელთ, წინააღმდეგ მათი მტკიცებისა, საგანთა გაერთიანების საფუძვლად. ეს შეუძლებელიც იყო. მაგ. მე-5 ჯგუფში ყოფილა 25 ბავში. აქედან: 2 ბავში—9 წლისა, 16 ბავში—10 წლისა და 7 ბავშიც—11 წლისა. გარდა მაგისა ჯგუფში იყო 10 ქალი და 15 ვაჟი. რომ არ მივიღოთ მხედველობაში ბავშთა სოციალური მდგომარეობის სხვა და სხვაობა, რასაც თვალსაჩინო გავლენა აქვს მათ ინტერესებზედ, ისიც საკმარისია ვიცოდეთ რომ 9 წლიან და 11 წლიან ბავშებს შორის საკმაო განსხვავებაა ინტერესების მიხედვით. ეს განსხვავება კიდევ გაცილებით მეტია ქალებსა და ვაჟებს შორის. და ასეთი სხვა და სხვაობა ინტერესისა როგორ შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა საგანთა გაერთიანებას.

ვიმეორებთ, მასწავლებლებს საგანთა გაერთიანების საფუძვლად აუღიათ პრინციპი ევოლიუციისა და კარგადაც მოქცეულან. მოხსენებაში კი ასეთ საფუძვლად დასახელებულია ასაკის ინტერესი, რაც გაუგებრად უნდა ჩაითვალოს.

უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ამ ახალი ცდის მეორე მხარე. ესაა მთავარ მეთოდათ მიღება **განცდათა მეთოდისა**. დრამატიზაცია და ინსცენიროვკა კარგია, როგორც დამხმარე საშუალება, მაგრამ მისი ძირითად მეთოდათ მიღება შეუძლებელიცაა ბევრ შემთხვევაში და სახიფათოც. ვაი თუ სკოლა გარდაიქცეს თეატრათ ან, რაც უარესია, ბალაგანად!.. მაგრამ ესეც რომ არ მოხდეს, ველური ინსტინქტების განმეორება ბავშების მიერ და მათი ინტენსიური განცდა, უსათუოდ უარყოფილია. ვინაიდან ყოველი განცდა ძლიერ და ზოგში წაუშლელ კვალსა სტოვებს. თვით მომხსენებელი ირწმუნება და გვჯერა, რომ ცუდი შედეგი არ შეუნიშნავთ, მაგრამ ამისათვის არ კმარა ორი თვის გამოცდილება. თეორიულად ადვილი დასამტკიცებელია, რომ ასეთ განცდებს უსათუოდ უნდა ავარიდოთ ნორჩი თაობა.

ა. ჩ.

# საყურადღებო საკითხი

ჩვენი მომავალი თაობის, ქართველი სტუდენტობის საკითხი დღესაც და ყოველთვის ერთ საჭირ-ბოროტო საკითხად არის ქცეული. ამ ხალხს არსებობის საკითხმა ხან შიმშილობა აიძულა და ხან კანცელარიის დაობებულ დავთარში ჩხრეკა. ჩვენმა ახალგაზრდობამ, თავისი აკადემიური ტრადიციების ჩამოქნა-ჩამოყალიბება მშიერი კუჭით და და ვიწრო პრაქტიციზმთან ბრძოლით დაიწყო, და ამ ორ ჯვარედინად გადაჯდომილ მომენტებზე შენდება ჩვენი აკადემია.

ჩვენ გვინდა რომ ჩავებათ ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულ შენებაშიც, რადგან შექმნილი ეკონომიური კრიზისი უამისოდ არ გვაძლევს არსებობის სალსარს. ვიმუშავებთ ყველგან, რომ მივიღოთ არსებობისთვის მინიმუმი მაინც. ამას არ გაურბის ჩვენი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა, მუშათა, პროლეტარ ინტელიგენთა, და ყოველ ნამდვილ მშრომელთა შვილები რომელთაც სკოლიდანვე შეუძენიათ უნარი და სურვილი როგორც პრაქტიკულ ისე თეორიულ აზროვნებისა.

სტუდენტთა საკითხს ფართე-ოფიციალური ყურადღება ჩვენდა საუბედუროდ არ აქვს მიქცეული. მზა-მზარეული უზრუნველყოფა სტუდენტობისა რასაკვირველია შეუძლებელია და წარმოუდგენელიც. მაგრამ მაინც ბევრის გაკეთება შეიძლება სტუდენტობის უზრუნველყოფისათვის ეს შეიძლება სამუშაოს მიცემის სახით.

სტუდენტობის ერთი ნაწილი ზოგი კანცელარიის მოსამსახურეჰაათ ითვლება, ზოგი კიდევ სხვა გვარ სამუშაოზე არიან. დიდი ნაწილი კი ყოველ წლობით ძიებაშია სამუშაოს და სამსახურო ადგილი.

ყოველ წლობით პროვინციებიდან დიდ-ძალი სტუდენტობა ჩამოდის ტფილისში ღარიბ გლეხ-კაცობის შვილები. მათ არ აქვთ სალსარი, რომ თავი გამოიკვებონ მშობლების ხარჯზე,

თუ კი ჩვენ სტუდენტობას გვსურს ვიმუშაოთ ყველგან, არ დავზოგოთ ჩვენი ძალღონე, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი თავი შიმშილისაგან, მაშინ საჭიროა მეტი ყურადღება და მეტი თვალყური მიექცეს ჩვენს მდგომარეობას.

საჭიროა მეტი ყურადღება.

დ. არობელი.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. კაკო რაჭველს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან მემარჯვენე ფედერალისტების საქციელი, რომელზედაც თქვენ წერთ მეტად დაბალია, რის შესახებ წერაც არ ღირს. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები. მისამართი გარკვევით გვაცნობეთ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.